

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. ლაგოდეხი

2016 წელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში -
საბჭო) სხდომის

ო კ მ ი №1

2016 წლის 06 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

პირველი (სადამფუძნებლო) სხდომა მოწვეულ იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებლის ინიციატივით

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე

სხდომას ესწრებდნენ:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კარლო ჯამბურია; იურიდიული სამსახურის
უფროსი - ნინო ბატიაშვილი; საფინანსო, საბიუჯეტო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
სამსახურის უფროსი- გიორგი მანგოშვილი.

საბჭოს წევრები: გელა თუდევეი - არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ლეღის“
წარმომადგენელი; მინდია დუმბაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი „ჭერეთის“
წარმომადგენელი; თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების
ასოციაციის“ (საგა) გამგებლის თავმჯდომარე; ლევანი ბარბაქაძე - მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს
„ლეღას“ დირექტორი; ვალდიმერ სეირანოვი - მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი
(ქ.ლაგოდეხში სასურსათო მაღაზია „ვადოს“ მფლობელი); მარიამ ქადაგიძე - მეწარმე
სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე (ქ.ლაგოდეხში „საოჯახო სასტუმრო კვიის სახლის“
მფლობელი); ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი
საჯარო სკოლის პედაგოგი); მარინა პეტრიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი
(ქ.ლაგოდეხის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი); ლინა გაგიევა - მოსახლეობის
წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი) გივი შუბითიძე -
მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი).

სხდომაზე არ გამოცხადდა საბჭოს წევრი - დავით ლომიძე (მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს.
„კავკასიონის“ დირექტორი). რომელსაც ეცნობა სხდომის დღის შესახებ, თუმცა
გამოუცხადებლობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

•••

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი მიესალმა საბჭოს წევრებს და აუხსნა, რომ საბჭოს პირველი (სადამფუნდებლო) სხდომა მოწვეულ იქნა მისი ინიციატივით. საბჭოს დაკომპლექტების შემდეგ, მათ უნდა წარუდგინოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო ბატიაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო საბჭოს დებულება, მათი უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. საბჭოს თვითოეულ წევრს გადაეცა საბჭოს დებულების ერთი ეგზემპლარი. დებულების თანახმად, პირველ ყოვლისა საბჭომ წამოჭრა თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის საკითხი.

საბჭომ, თავმჯდომარის კანდიდატურაზე წარადგინა ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი, ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი.

საბჭომ კენჭი უყარა დაყენებულ კანდიდატს.

საბჭოს ყველა წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი ხათუნა ბარბაქაძის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის საკითხს.

საბჭომ, მდივნის კანდიდატურაზე წარადგინა თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ (საგა) გამგეობის თავმჯდომარე.

საბჭომ კენჭი უყარა დაყენებულ კანდიდატს.

საბჭოს ყველა წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი თამარ მუმლაძის საბჭოს მდივნად არჩევის საკითხს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელმა კარლო ჯამბურიაშვილმა დაკომპლექტებულ საბჭოს წარუდგინა ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და სთხოვა სადინანსო, საბიუჯეტო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროს-გიორგი მანგოშვილს გაეკეთებინა მიმოხილვა საკითხის ირგვლივ.

სადინანსო, საბიუჯეტო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა - გიორგი მანგოშვილმა ვრცელი განმარტება გააკეთა, როგორც 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების (11 თვე) კუთხით, ასევე ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

განხილეს:

2016 წლის ბიუჯეტის შესრულების (11 თვე) და 2017 წლის განმავლობაში ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების და შემოსავლების მოკლე მიმოხილვა.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულება 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით

2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 10940,5 ათასი ლარი. აქედან:

2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2261,8 ათასი ლარი. მ.შ.:

- საშემოსავლო გადასახადი - 718,7 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი - 1543,1 ათასი ლარი.

გრანტებმა შეადგინა 8202,4 ათასი ლარი. მ.შ.:

- გათანაბრებითი ტრანსფერი - 4327,0 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი - 201,3 ათასი ლარი;
- კაპიტალური ტრანსფერი - 3674,1 ათასი ლარი.

2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სხვა შემოსავლებმა შეადგინა 476,1 ათასი ლარი. მ.შ.:

- შემოსავლები საკუთრებიდან - 207,6 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურების რეალიზაცია - 35,5 ათასი ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 225,4 ათასი ლარი;
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა - 0,4 ათასი ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 7,3 ათასი ლარი.

2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით შემოსულობებმა არაფინანსური აქტივებიდან შეადგინა 37,6 ათასი ლარი.

წლის დასაწყისისათვის არსებულმა ნაშთმა (გაწერილია ბიუჯეტში) შეადგინა 1983,1 ათასი ლარი.

(ვრცლად იხ.დანართი)

2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან გაწეული ასიგნებები (ხარჯები) შეადგენს 11690,4 ათას ლარს. მ.შ.:

- შრომის ანაზღაურება - 1504,5 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1545,4 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 4747,1 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 136,8 ათასი ლარი.

(ვრცლად იხ.დანართი)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების და ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8320,6 ათასი ლარით განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2350,0 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადი - 870,0 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი - 1480,0 ათასი ლარი.

2017 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5530,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- გათანაბრებითი ტრანსფერი 5310,6 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსაზოვრცილებლად 220,0 ათასი ლარი.

2017 წლისთვის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 440,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან - 155,0 ათასი ლარი (პროცენტები - 100,0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 40,0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 15,0 ათასი ლარი).
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 35,0 ათასი ლარი (სანებართვო მოსაკრებელი - 15,0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 20,0 ათასი ლარი).
- ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი - 250,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 8320,6 ათასი ლარის ოდენობით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 6753,6 ათას ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1537,2 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1816,4 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 2957,0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 383,0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 60,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 1362,0 ათას ლარს.

ვალდებულების კლება შეადგენს 205,0 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მიმართული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულების დაფარვაზე.

მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 542,7 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის გამგეობა - 1797,7 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 50,0 ათასი ლარი;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 112,0 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 2378,2 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 830,0 ათასი ლარი;
 - ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 1446,3 ათასი ლარი;
 - ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 100,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებათა - 1500,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 75,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი - 565,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი - 465,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება - 160,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური - 100,0 ათასი ლარი;
- რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების მოწყობის ხარჯი (საახალწლო ღონისძიებები) - 10,0 ათასი ლარი;
- სოციალური პროგრამები - 425,0 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთათვის კულტურული ღონისძიებების მოწყობა - 5,0 ათასი ლარი;
 - ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები - 225,0 ათასი ლარი;
 - ✓ შშმ პირთა სოციალური დაცვა - 20,0 ათასი ლარი;
 - ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის ხარჯები - 80,0 ათასი ლარი;
 - ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 95,0 ათასი ლარი;
 - ✓ სარიტუალო ხარჯი - 5,0 ათასი ლარი;

რაც შეეხება 2016 წლის წლის ბიუჯეტის შემოსავლების და 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულ შემოსავლებს შორის სხვაობა გამოწვეულია „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებულ პროექტში ლაგოდების მუნიციპალიტეტისთვის 2017 წელს გამოსაყოფი ტრანსფერის და 2017 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებით. (იხ.დანართი- ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი).


2016 წლის ბიუჯეტის გეგმასგან განსხვავებით 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში არაფინანსური აქტივების ზრდის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ამჟამად არ არის ასახული საქართველოს ცენტრალური ორგანოებიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და სხვა სპეციალური ფონდებიდან მისაღები სახსრები.


საბჭოს წევრები გაეცნენ 2017 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაციის პროექტებს.

აზრი გამოთქვას საბჭოს წევრებმა, დასვეს შეკითხვები და ერთხმად


გადაწყვიტეს:


ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარდგენილ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს გაეწიოს რეკომენდაცია, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარე:  ხათუნა ბარბაქაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდების პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი);

საბჭოს მდივანი:  თამარ მუმლაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ (საგა) გამგეობის თავმჯდომარე;

საბჭოს წევრები:

გელა თედვევი  არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ლეღის“ წარმომადგენელი;

მინდია დუმბაძე  არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო კავშირი „ჭერეთის“ წარმომადგენელი;

ლევანი ბარბაქაძე *ლევანი ბარბაქაძე* მეწარმე სუბიექტი შ.პ.ს „ლეზას“ დირექტორი;

ვლდიმერ სეირანოვი *ვლდიმერ სეირანოვი* მეწარმე სუბიექტი ი/მ ვლდიმერ სეირანოვი
(ქ.ლაგოდეხში სასურსათო მწარმოა „ვადოს“ მფლობელი);

მარიამ ქადაგიძე *მარიამ ქადაგიძე* მეწარმე სუბიექტი ი/მ მარიამ ქადაგიძე
(ქ.ლაგოდეხში „საოჯახო სასტუმრო კივის სახლის“ მფლობელი);

მარინა პეტრიშვილი *მარინა პეტრიშვილი* მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ.ლაგოდეხის
მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი);

ლინა გაგიევა *ლინა გაგიევა* მოსახლეობის წარმომადგენელი (ქ. ლაგოდეხის პირველი
საჯარო სკოლის პედაგოგი)

გივი შუბითიძე *გივი შუბითიძე* მოსახლეობის წარმომადგენელი (ტაქსის მძღოლი).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი *კარლო ჯამბურია* კარლო ჯამბურია;

სხდომა დასრულდა 18:00 საათზე

N 1

06.12.2016 წ.

რეკომენდაცია:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 ოქტომბრის N2/1395 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 06 დეკემბრის სხდომის ოქმი N1-ის შესაბამისად:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს, გაეწიოს რეკომენდაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

ხათუნა ბარბაიძე